თსუ საფინანსო დეპარტამენტის შესყიდვების განყოფილებაში შტატგარეშე პოზიციაზე (შრომითი ხელშეკრულება) უფროსი სპეციალისტების შესარჩევად კონკურსის ჩატარების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

წესის მიზანია სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფინანსო დეპარტამენტის შესყიდვების განყოფილებაში შტატგარეშე პოზიციაზე (შრომითი ხელშეკრულება) უფროსი სპეციალისტების შერჩევა.

მუხლი 2. საკონკურსო კომისიის ფუნქციები:

1. საკონკურსო კომისიის ფუნქციებში შედის:
   ა) საკონკურსო წესით საფინანსო დეპარტამენტის შესყიდვების განყოფილებაში შტატგარეშე პოზიციაზე (შრომითი ხელშეკრულება) უფროსი სპეციალისტების კანდიდატების შერჩევა.
   ბ) კომისიას მუშაობისას საჭიროების შემთხვევაში კომპეტენტური აზრის დასაფიქსირებლად შესაბამისი დარგის ექსპერტი/ექსპერტების მოწვევა.

მუხლი 3. კონკურსანტის შეფასების წესი

1. კომისია კონკურსანტს დაუსწრებლად აფასებს მის მონაცემთა შესაბამისობას უნივერსიტეტის საფინანსო დეპარტამენტის შესყიდვების განყოფილების უფროსი სპეციალისტის თანამდებობრივ მოთხოვნებთან. აპლიკანტები, ვის მიერ წარმოდგენილი საბუთებიც დააკმაყოფილებს საკონკურსო მოთხოვნებს, წინასწარი შეტყობინების საფუძველზე შესარჩევ კომისიასთან გაივლიან გასაუბრებას.
2. აპლიკანტის მიერ გასაუბრებაზე გამოუცხადებლობა ან უარის თქმა წარმოადგენს აპლიკანტის კონკურსიდან მოხსნის საფუძველს.
3. საკონკურსო პროცედურების დასრულების შემდგომ საკონკურსო კომისია კონკურსის შედეგებს ურთიერთშეაჯერებს, აფასებს და იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებულის/გამარჯვებულების გამოვლენის შესახებ. გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს წარმოდგენილ საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასებას. რაც აისახება საკონკურსო კომისიის ოქმში (გასაუბრების ჩატარების შემთხვევაში, შეფასება ასევე უნდა ემყარებოდეს გასაუბრების შედეგებს).
4. შერჩევის ეტაპების განხორციელების შემდგომ ტარდება კენჭისყრა და უფროს სპეციალისტად შერჩეულად ითვლება, ის აპლიკანტი, რომელიც მიიღებს სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის/სხდომის თავმჯდომარის ხმა.
5. კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას აფორმებს ოქმის სახით, რომლის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატთან/კანდიდატებთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება;

მუხლი 4. დავების გადაწყვეტა

კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.